ეკა აკობია

ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (METU), თურქეთი

სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანმა, ეკა აკობიამ, მონაწილეობა მიიღო თურქეთის ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტის - ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის (METU) - მიერ ორგანიზებულ პერსონალის განვითარების მე-10 საერთაშორისო კვირეულში, რომელიც 2026 წლის 8–12 ივნისს შედგა.

ღონისძიების თემა იყო „გამოცდილებიდან სრულყოფილებამდე: METU-ს 10 წლიანი საუკეთესო პრაქტიკები ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში“. პროგრამა აერთიანებდა სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლებს საერთაშორისო თანამშრომლობის, მობილობის, ციფრული ინსტრუმენტების, უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით. პროგრამა მოიცავდა თემატურ სესიებს, სამუშაო შეხვედრებს, პარტნიორი უნივერსიტეტების პრეზენტაციებს. საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში 77 ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა 22 სხვადასხვა ინსტიტუციიდან, რაც ქმნიდა პროფესიული ქსელების გაძლიერების შესაძლებლობას.

Erasmus+ მობილობები ხელს უწყობს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორული ქსელის გაფართოებას, თანამშრომლობების გაღრმავებას და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის შემდგომ განვითარებას.